სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №41

ქ. თბილისი **2011 წლის 28 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 33 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. კარტოზია გიორგი 5. მესხორაძე გიორგი 6. ჩაბაკური გიორგი 7. გალდავა გიორგი 8. მარგველიშვილი ვლადიმერი 9. ცინცაძე ნინო 10. თურქიაშვილი შორენა 11. მაცაბერიძე მალხაზი 12. შამილიშვილი მანანა 13. ნახუცრიშვილი კონსტანტინე 14. ჩოხელი ლევანი 15. ბარამიძე ცირა 16. ბახტაძე მიხეილი 17. ბრაჭული ირაკლი 18. გელოვანი ნანი 19. ლიჩელი ვახტანგი 20. ლორია კახაბერი 21. პაიჭაძე თამარი 22. ზივზივაძე ვახტანგი 23. ჯღამაძე უჩა 24. ელიაშვილი მერაბი 25. თუთბერიძე ბეჟანი 26. ომანაძე როლანდი 27. ხაჩიძე მანანა 28. გუბაძე ვასილი 29. ჭლიკაძე გივი 30. კახიანი გიორგი 31. ბენდელიანი ბექა 32. პაპაშვილი თამარი 33. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. კვიტაშვილი ალექსანდრე 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. ქურდაძე რამაზი 4. გერსამია მარიამი 5. შენგელაია ალექსანდრე 6. ნადარაია ელიზბარი 7. სურგულაძე ნუგზარი 8. გველესიანი რევაზ 9. მარშავა ქეთევანი 10. მანაგაძე ლავრენტი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცება.

2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულება წარმოადგინა ევროპული კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ნინო ლაპიაშვილმა, რომელმაც წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ ინსტიტუტი 2007 წელს დაფუძნდა თსუ-ს იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაზაზე. ინსტიტუტი ახორციელებს ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას, ასევე ევროკავშირთან თანამშრომლობით იგეგმება ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის შექმნა.

ინსტიტუტის მოქმედი დებულება უკვე ვეღარ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რის გამოც შემუშავდა დებულების პროექტი, რომლითაც განისაზღვრა ინსტიტუტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები. დებულების პროექტი შეთანხმებული იურიდიულ და საფინანსო დეპარტამენტებთან.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ დებულების პროექტმა გაიარა სამართლებრივი ექსპერტიზა და იგი გამართული დოკუმენტია. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტის დამტკიცებისთანავე ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოქმედი დებულება ძალადაკარგულად ჩაითვლება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი ვლადიმერ მარგველიშვილი დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ინსტიტუტის საქმიანობაში მედიცინის ფაკულტეტის მიერ განხორციელებადი სანმანათლებლო-სამეცნიერო მიმართულებების ასახვა და ჩართვა ინსტიტუტის მიერ განსახორციელებელ საგანმანათლებლო პროგრამებში, რაზეც პასუხი გასცა ქალბატონმა ნინო ლაპიაშვილმა და განაცხადა, რომ დასავლეთევროპულ უნივერსიტეტებში მსგავსი ტიპის ინსტიტუტები ძირითადად იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტების ბაზაზე არსებობს. ევროპელებს მოეწონათ თსუ-ს მოდელი. მომავალში შეიძლება მუშაობა ინსტიტუტის საქმიანობაში სხვა ფაკულტეტების, მათ შორის, მედიცინის ფაკულტეტის ჩართვის კუთხითაც.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა ბეჟან თუთბერიძემ და ვახტანგ ლიჩელმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულება. (დანართი 3) 2. ახლადდამტკიცებული დებულების ძალაში შესვლის დღიდან დაკარგულად გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოქმედი დებულება.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმოადგინა თსუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი. ბატონმა დავით ჩომახიძემ წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი გაიზარდა და მისი დაფინანსების ძირითადი წყარო სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურია, ამასთან შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტები ისევ მიიღებენ 2012 წელს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო თსუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი დეტალურად და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით. მასში გათვალისწინებულია, როგორც სტუდენტების მიერ გადასახდელი თანხები, ისე ეროვნული და საერთაშორისო გრანტები. სახელმწიფო დაფინანსება 2012 წელს განისაზღვრება 1 მლნ. 300 000 ლარით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხა უნდა გაიხარჯოს მიზნობრივად, სამინისტროსთან წინასწარი კონსულტაციით შეიძლება ითქვას, რომ აქედან 1 მლნ. ლარი გამიზნულია საზღვარგარეთიდან პროფესორების მოწვევის, მგზავრობის, დაბინავებისა და ჰონორარისათვის, ხოლო 300 000 ლარი სპორტის, კერძოდ კალათბურთის განვითარებისათვის.

ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან ერთად გაიზარდა ხარჯები. მართალია, სახელმწიფო დაფინანსება შეუნარჩუნდა შემოერთებულ ინსტიტუტებს, თუმცა ეს თანხა განკუთვნილია ინსტიტუტების თანამშრომელთა ხელფასების ანაზღაურებისათვის, ხოლო კომუნალური თუ

სხვა ხარჯის გადახდა უწევს თავად უნივერსიტეტს საკუთარი ბიუჯეტიდან. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, დაგეგმილია აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასების ზრდა 10-20%, რაც საუნივერსიტეტო მასთაბით 2006 წლის შემდეგ არ განხორციელებულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი გიორგი გალდავა დაინტერესდა, თუ არის შესაძლებელი გაუთვალისწინებელ შემთხვევებში უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფაკულტეტისათვის დამატებითი თანხების გამოყოფა, რაზეც ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტის ნაერთი ბიუჯეტის პროექტში 600 000 ლარამდეა გათვალისწინებული გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი ვახტანგ ლიჩელი დაინტერესდა, ბიუჯეტის პროექტი თუ ითვალისწინებს უნივერსიტეტის ავტოპარკის განახლებას. ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ იგეგმება რამდენიმე მიკროავტობუსის შეძენა, რომელიც მოემსახურება უნივერსიტეტებს დანიშნულებისამებრ.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურაბ გაიპარაშვილმა აღნიშნა, რომ 2011 წელს გადაიხურა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში გახლდათ. აუცილებელია გამოიყოს დამატებითი თანხები, რათა მოხერხდეს ერთი საცავის გაკეთება, სადაც მოთავსდება უნიკალური წიგნადი ფონდი.

ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა განმარტა, რომ ყველა დეპარტამენტის, ფაკულტეტის, ბიბლიოთეკის თხოვნა მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენისას, თუმცა ყველას დაკმაყოფილება, არსებული რესურსების გათვალისწინებით, წარმოუდგენელია.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ცირა ბარამიძემ აღნიშნა, მისასალმებელია ხელფასების ზრდის ტენდენცია. აუცილებელი იყო ფაკულტეტების სამსახურების თანამშრომლებისა და აკადემიური პერსონალისათვის ხელფასების მომატება. ქალბატონმა ცირა ბარამიძემ იმედი გამოთქვა, რომ მომავალშიც გაგრძელდება აღნიშნული პროცესი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ვახტანგ ლიჩელმა მადლობა გადაუხადა თსუ-ს ადმინისტრაციას, ადმინსტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო

დეპარტამენტსა და შესყიდვების სამსახურს 2011 წელს გაწეული ოპერატიული და წარმატებული საქმიანობისათვის.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 33

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტი. (დანართი 4)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს

ხელმძღვანელი (უფროსი) დ. გეგენავა

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა (თსუ, 28 დეკემბერი, 2011წ.)

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკაური გიორგი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფაღავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ზარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზივზივაძე ვახტანგი
- ჯღამაძე უჩა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა
- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- ზურაბ გაიპარაშვილი

თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (28. 12. 11)
დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია:

- ალექსანდრე კვიტაშვილი (რექტორი)
- ნანი გაფრინდაშვილი
- რამაზ ქურდაძე
- ზურაბ დავითაშვილი
- მარიამ გერსამია
- ალექსანდრე შენგელაია
- ელიზბარ ნადარაია
- მაია კოპალეიშვილი
- ნუგზარ სურგულაძე
- რევაზ გველესიანი
- ქეთევან მარშავა
- ფრიდონ თოდუა
- ლავრენტი მანაგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულება

მუხლი 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტატუსი

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ევროპული კვლევების ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი) არის საუნივერსიტეტო მნიშვნელობის საგანმანათლებლო სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული და სარგებლობს შესაბამისი უფლებამოსილებებით.

2. ინსტიტუტს გააჩნია საკუთარი ქვეანგარიში, ლოგო და ბეჭედი.

მუხლი 2. ინსტიტუტის მიზანი

ინსტიტუტის მიზანია:

ა) ევროპული კავშირის შესახებ ინტერდისციპლინური სწავლების განვითარება, ასევე მის მომცველ ფართო საერთაშორისო კონტექსტში ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ და კულტურულ საკითხებზე სწავლებისა და კვლევების კოორდინირებულად წარმართვა;

ბ) უმაღლესი განათლების სფეროში ევროპული ინტეგრაციისა და ევროპულ საგანმანათლებლო ტრადიციებთან თავსებადი განათლების სისტემის დამკვიდრების ხელშეწყობა;

გ) საქართველოში ევროპული ინსტიტუტების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ ცოდნის გავრცელება;

დ) საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და დისტანციური სწავლების საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირება;

ე) ინოვაციური მეთოდების დანერგვა სამეცნიერო კვლევასა და პედაგოგიურ საქმიანობაში;

ვ) სასწავლო პროცესში სამეცნიერო-კვლევითი პროცესის ინტეგრირება;

ზ) ინტერდისციპლინური კვლევის განვითარება;

თ) ევროპული საკითხებით დაინტერესებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მობილობის მაქსიმალური ხელშეწყობა;

ი) სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კვლევითი თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 3. მართვის ორგანოები

ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ინსტიტუტის დირექტორი.

მუხლი 4. სამეცნიერო საბჭო

1. ინსტიტუტის საქმიანობას კოორდინაციას უწევს და მისი სამეცნიერო და სასწავლო პროცესის პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს სამეცნიერო საბჭო.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედის ინსტიტუტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მონაწილე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი (სათათბირო ხმის უფლებით).

3. სამეცნიერო საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით, დაუშვებელია ხმის უფლების გადაცემა.

4. სამეცნიერო საბჭო:

ა) განიხილავს დირექტორის მიერ წარმოდგენილი ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების სამუშაო გეგმას;
ბ) უფლებამოსილია დირექტორს მოსთხოვოს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების სამუშაო გეგმაში ცვლილებების შეტანა;
გ) განიხილავს დირექტორის ანგარიშს და ინსტიტუტის შემდგომი განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

5. სამეცნიერო საბჭო იკრიბება ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე დირექტორის ან სამეცნიერო საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3 ის ინიციატივით.

6. სამეცნიერო საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს დირექტორი.

7. სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე სამეცნიერო საბჭოს წევრთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით. რიგგარეშე სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგი განისაზღვრება სამეცნიერო საბჭოს მოწვევის ინიციატორთა მიერ.

8. სამეცნიერო საბჭოს დღის წესრიგი წევრებს ეგზავნებათ სხდომის გამართვამდე არანაკლებ 1 დღით ადრე.

9. სამეცნიერო საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

10. სამეცნიერო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 5. ინსტიტუტის დირექტორი

1. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი.

2. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

3. დირექტორი:

ა) წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული გეგმის მიზნების მისაღწევად;

ბ) ადგენს ინსტიტუტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას, გადასცემს სამეცნიერო საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

გ) ხელმძღვანელობს სასწავლო პროგრამების ორგანიზებულად წარმართვასა და განხორციელებას;

დ) წარუდგენს კანცლერს ინსტიტუტის აღმასრულებელი მდივანის კანდიდატურას, რომელიც ვალდებულია დირექტორს გაუწიოს ადმინისტრაციული დახმარება ინსტიტუტის საქმიანობის კოორდინაციულად წარმართვაში და ამავე დროს ითავსებს ინსტიტუტში განხორციელებული სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციას;

ე) დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად, წარუდგენს კანცლერს სპეციალურად ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი თანამშრომლისა და ბიბლიოთეკარის კანდიდატურებს;

ვ) ადგენს ინსტიტუტის ბიუჯეტსა და საშტატო განრიგს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელსა და რექტორს;

ზ) წარუდგენს ინსტიტუტის საქმიანობის ანგარიშს სამეცნიერო საბჭოს წელიწადში ერთხელ;

თ) შესაბამისი უფლებომოსილების მინიჭების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 6. ინსტიტუტის თანამდებობები

1. საშტატო განრიგით ინსტიტუტისათვის განსაზღვრული თანამდებობებია:

ა) ინსტიტუტის დირექტორი,

ბ) აღმასრულებელი მდივანი,

გ) ბიბლიოთეკარი,

დ) ხარისხის მართვის თანამშრომელი.

2. ინსტიტუტის პერსონალს (აღმასრულებელი მდივანი, ბიბლიოთეკარი, ხარისხის მართვის თანამშრომელი) დირექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს კანცლერი.

მუხლი 7. ინსტიტუტის დაფინანსება

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

ა) გრანტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

ბ) სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული შემოსავლები;

გ) სახელშეკრულებო საფუძვლებზე მიღებული შემოსავლები;

დ) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 9. ძალაში შესვლა

დებულება ძალაში შედის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012წლის ბიუჯეტის პროექტი

მოსალოდნელი შემოსავლები	ლარი
სასწავლო გრანტი	16 776 250
ეკონომიკური საქმიანობა	22 535 490
სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი დაფინანსება	1 300 000
სახელმწიფო ბიუჯეტი (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	4 397 290
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია	501 000
2011წლის გარდამავალი ნაშთი	6 000 000
ჯამი	51 510 030

სულ მოსალოდნელი გრანტები	6 852 228
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	2 437 228
საერთაშორისო გრანტები	3 806 000
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები	609 000
სულ შემოსავალი	58 362 258

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯები

პროექტი

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	58 362 258
ხარჯები	57 047 513
შრომის ანაზღაურება	24 792 331
ხელფასები	24 792 331
ხელფასები ფულადი ფორმით	24 792 331
თანამდებობრივი სარგო	18 440 131
მათ შორის: აკადემიური პერსონალის	7 225 320
მათ შორის: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის	7 775 664
მათ შორის: სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების პერსონალის	3 439 147
პრემია	800 000
დანამატი	5 552 200
მათ შორის: აკადემიური პერსონალის	5 052 200
მათ შორის: ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის	500 000
საქონელი და მომსახურება	28 188 044
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	15 893 375
მივლინება	767 890
ოფისის ხარჯები	6 243 394
წარმომადგენლობითი ხარჯები	1 182 040
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	100 000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	344 300
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3 657 045
გრანტები	1 133 538
სხვა ხარჯები	2 933 600
არაფინანსური აქტივების ზრდა(ძირითადი აქტივები)	1 314 745
შენობა ნაგებობები	300 000
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	899 745
სხვა ძირითადი აქტივები	115 000